№ 141

1877—1899

№ 141

სამშაბათი, 6 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

სამშაბათი, 6 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227



სამს ივლისს გარდაიცვალა დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ პოდპოლკოვნიკის ქვრივი

## სოფიო სვიმონის ასული გაბაშვილისა.

გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ამას შვილები გარდაცვალებულისა: **მარიამ და ეკატირინე ზაქარიას ასულნი და ალექსანდრე, დავით და ივანე ზაქარიას ძენი გაბაშვილები და ნადეჟდა ზაქარიას ასული პოლტარაცკისა**, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ მიცვალებულის გასვენებაზე ალექსანდრე გაბაშვილის სახლიდგან, მოსკოვის ქუჩაზე, სამების ეკკლესიაში, 6 ივლისს, დილის 9 საათზე. გვამი დაკრძალულ იქნება სოფელ ოქროყანას.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება ყოველ დღე შუადღის პირველ საათზე და საღამოს შვიდ საათზე. (2—98—2)

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდაროვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—24)

## ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამ. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—75—12)

## მგზავრთა საყურადღებოდ

ახლად დაარსებულ იქმნა ქართველ მგზავრთათვის

ს ა ს ტ უ მ რ ო

## „ა ბ ა შ ა“

ტფილისის მეძრე მაღაკნის ქუჩაზედ.

ეს სასტუმრო ძალიან კარგსა და მარჯვე ადგილას არის: ტფილისის რკინის გზის სადგურის მახლობლად; სწორედ კარეშზედ უვლის ავჭალის კონკაც.

ოთახები საუცხოვოდ არის მორთული და მოწყობილი.

**ფასი მეტად იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:**

დღეში **60** კაპეიკიდგან **1** მან. **50** კაპეიკამდე. თვეობით უფრო იაფია.

(10—97—1) დავშთები მარად პატივის მცემელი **ნიკო თოფურია**

## ე ქ ი მ ი
## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—42)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. ვადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1 1/2—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7 1/2—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).


## ნეკროლოგი

† ბარონი ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაი

დეპეშამ ამ სამის დღის წინად ბარონ ალექსანდრე პავლეს ძის ნიკოლაის გარდაცვალების ამბავი მოიტანა. ბარონ ნიკოლაი კავკასიაში კარგად არის ცნობილი. მან თავისს სამსახურის დღენი უმთავრესად აქ გაატარა. ამასთან ის ხანა (ამ საუკუნის 50—70 წლები), როდესაც განსვენებული კავკასიაში მსახურებდა, ბევრით არის ჩვენის ქვეყნისთვის შესანიშნავი და საყურადღებო: ამ დროს მოხდა გლეხთა განთავისუფლება, სასამართლოთა რეფორმა, შემოღებულ იქმნა ქალაქის თვით-მმართველობა და სხვ.; და ყველა ამ თვალ-საჩინოსაქმეში განსვენებულს დიდი ღვაწლი და შრომა მიუძღვის.

ბარონი ა. პ. ნიკოლაი დაიბადა 1821 წელს. 1839 წელს ცარსკოსელის ლიცეუმში სწავლის გათავების შემდეგ განსვენებული მსახურებდა ბესსარაბიის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში. ცოტა ხანს შემდეგ იქიდგან კავკასიაში იქმნა გამოწვეული კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიის თავ. ვორონცოვის მიერ. აქ ჯერ ნამესტნიკის კანცელარიის მოხელედ იყო, შემდეგ საგანგებო საქმეთა მოხელედ. 1848 წელს დანიშნულ იქმნა ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორად. ამ თანამდებობაში ნიკოლაიმ 1852 წლამდე დაჰყო, როდესაც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად და ამიერ-კავკასიის მთავარ-სამმართველოს საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული, ხოლო 1859 წელს—კავკასიის ნამესტნიკის საბჭოს წევრად. 1860 წელს ბარონს ახალი თანამდებობაც ჩააბარეს—სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის გამგეობის უფროსობა, მაგრამ ამავე წლის გასულს უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ იქმნა კიევის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად, ხოლო ერთის წლის შემდეგ საერო განათლების მინისტრის ამხანაგად და ცენზურის მთავარ-სამმართველოს წევრად. ამავე დროს ებოძა მისის იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან სტატს-სეკრეტრობა და სენატორობა.

რუსეთში ბარონ ნიკოლაიმ სულ ორი წელიწადი დაჰყო და შემდეგ, 1863 წელსავე ისევ კავკასიაში იქმნა დანიშნული ნამესტნიკის მთავარ-სამმართველოს უფროსად. ამ წლიდგან იწყება რეფორმების შემოღება კავკასიაში და განსვენებულმა ბარონმაც განსაკუთრებულ მაშინ გასწია დიდი მოღვაწეობა და შრომა. 1876 წელს განსვენებული დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, ხოლო 1881 წელს საერო განათლების მინისტრად. მაგრამ ერთის წლის შემდეგ თავისავე ნებით ამ მაღალ თანამდებობას თავი გაანება და დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაში დაჰყო 1889 წლამდე, როდესაც სახელმწიფო მოღვაწეობას სრულიად თავი გაანება. უკანასკნელი წლები განსვენებულმა კავკასიაშივე გაატარა: სცხოვრობდა ხან ტფილისს, ხან თავისს მამულს ბეთანში.

მარტო ზემოდ ნათქვამიდგან ყველა აშკარად დაინახავს, რამდენად მრავალ-მხრივი და მრავალ-ფეროვანი იყო სახელმწიფო მოღვაწეობა განსვენებულ ბარონ ნიკოლაისა. როგორცა ვთქვით, განსვენებულმა განსაკუთრებულ ბევრი იღვაწა კავკასიისათვის. ეს ქვეყანა გულით უყვარდა და არავითარ შრომას არა ჰზოგავდა იმის ასაღორძინებლად და ასაყვავებლად. მან ბევრი საკეთილო საქმე გააკეთა როგორც კავკასიის მთავარ-სამმართველოს გამგემ, როგორც სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა და როგორც სასოფლო მეურნეობის [illegible] სამმართველოს უფროსმა. ბევრი იშრომა გლეხთა განთავისუფლების, ქალაქის თვით-მმართველობის შემოღების და სხვა რეფორმების განხორციელების დროს. ამას გარდა განსვენებულის მეცადინეობით და შრომით აღორძინდა და დაარსდა მრავალი საკეთილო დაწესებულება, როგორც, მაგალითად, დედათა პირველი გიმნაზია ტფილისში, კავკასიის სამეურნეო საზოგადოება, კავკასიის საგეოგრაფო საზოგადოება და მრავალი სხვა.

ბარონი გარდაიცვალა 78 წლისა, თავისს მამულს ბეთანში. განსვენებულს ცოლად ჩვენის ცნობილის პოეტის თავ. ალექსანდრე გარსევანის ძის ჭავჭავაძის უმცროსი ქალი ჰყვანდა. ხოლო თვით ბარონის ერთად-ერთი ქალიშვილი ცოლადა ჰყავს ტფილისის გუბერნატორად ნამყოფს თავ. გ. დ. შერვაშიძეს.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** დღეს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ ყველა წარჩინებულთა კაცთა და დიდის საზოგადოების თანადასწრებით გადაიხადა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

## ახალი ამბავი

*** როგორც გვატყობინებენ, პანაშვიდები განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად გარდაუხდიათ: ქუთაისში—ქალაქის თვით მართველობას; ახალსენაკში—ახალსენაკის მაზრის თავად-აზნაურობას; გომში—გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობას. ყველა ამ პანაშვიდს აუარებელი ხალხი დასწრებია. ამას გარდა 4 ივლისს აბასთუმანში წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად გარდაუხდია ტფილისის სემინარიის რექტორს. დასწრებიან წირვას კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი, ტფილ. გუბერ. თანამდებობის აღმასრულებელი ი. ნ. სვეჩინი და სხვანი.

*** გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონმა, დიდის მთავრის ნიკოლოზ მიხეილის ძესთან გაგზავნილ დეპეშაზედ, შემდეგი პასუხი მიიღო: „გულითად მადლობას გწირავთ თქვენ და გორის თავად-აზნაურთ თქვენმიერ გამოცხადებულ გრძნობებისათვის, რომლებიც მოვალეობად ვრაცხ გაუწყო მის იმპერატორებითს უდიდებულესობასა და ქვრივ იმპერატრიცას“.

მის იმპერატორებითს უმაღლესობასთან თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ, განსვენებულ მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად გარდახდილ პანაშვიდის შემდეგ, გაგზავნილი დეპეშა შემდეგის შინაარსისა იყო:

„გორის მაზრის თავად-აზნაურნი, გარდაიხადეს-რა პანაშვიდი ღვთივ განსვენებულის მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მემკვიდრე ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად, უმორჩილესად გიცხადებენ თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას განუსაზღვრელ მწუხარებას“.

*** ხვალ, 7 ივლისს, ბორჯომში მიემგზავრებიან მემკვიდრე ცესარევიჩის კუბოს გვირგვინით შესამკობად მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლები და ტფილისის გუბერნიის ზოგიერთი თავად-აზნაურნი.

*** ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას დაუმტკიცებია წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობის განკარგულება იმის შესახებ, რომ სენაკის სკოლის გამგედ ბ-ნი მთავრიშვილი იქმნას დანიშნული, ხოლო ამ სკოლის გამგედ ნამყოფი ს. ყიფიანი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლად იქმნას გადაყვანილი.

თერგის ოლქის სახალხო სკოლათა დირექტორს უცნობებია ხსენებულ საზოგადოების გამგეობისთვის, რომ იგი არ იქმნება წინააღმდეგი იმისი, რომ კავკავის სკოლის მასწავლებელს ლ. ბოცვა-

ძეს მიენდოს ამ სკოლის გამგებლობა იმ დრომდე, ვიდრე გამგეობა აშოვიდეს სკოლის გამგეს ტ. კახიძის მაგიერ, რომელმაც ამ თანამდებობას თავი გაანება.

⁂ ქალაქის საბჭოს დადგენილება ცხენის რკინის გზის კონცესიისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია. ეს დადგენილება ამ დღეებში სისრულეში იქმნება მოყვანილი.

⁂ ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაცია თხოულობს გადადებულ იქმნას ხაზინიდგან 9,000 მანეთი ახალქალაქის და ახალციხის სამოქალაქო და ქვემო-მაჩხაანის სასოფლო სკოლებთან არსებულ სახელოსნო კლასების შესანახად. ეს ფული ამ წელიწადს უნდა მოხმარდეს ხსენებულ სკოლებს.

⁂ სიღნაღის მაზრის მეორე საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებამ ხალხში სარწმუნოების განსამტკიცებლად სასარგებლოდ სცნო, რომ 1) კვირა-უქმე დღეებში სოფლებში წირვის გამოსვლამდე ყველა დუქნები დაიხუროს, ხოლო სასოფლო ყრილობა და საქმის გარჩევა სოფლის სასამართლოებში აიკრძალოს. 2) სხვა და სხვა სასოფლო თანამდებობაზედ გლეხების არჩევის დროს ადგილობრივის ადმინისტრაციის მოხელეებმა ყურადღება მიაქციონ ამ ერთ თანამდებობაზედ ასარჩევ კაცთა ზნეობასა და ყოფაქცევას და აგრეთვე იმასაც, ზიარებიან ხოლმე თუ არა ეს კაცები დიდ მარხვაში. ასეთი ზომები ხალხში სარწმუნოების განსამტკიცებლად საქართველოს ექსარხოსმა ფრიად სასარგებლოდ და დიდ აღმზრდელ მნიშვნელობის მქონედ სცნო და ამის გამო სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, რომ ზემოაღნიშნული ზომები მიღებულ იქმნას მთელს ტფილისის გუბერნიაში.

⁂ როგორც ისმის, სეტყვას ძალიან გაუფუჭებია საგარეჯოს სოფლის საზოგადოების ნათესი და ვენახები, ზარალი 9,500 მანეთს აღემატება თურმე.

⁂ რადგან თელავის სამაზრო სატუსაღო ამ ჟამად მთლად ავსებულა ტუსაღებით, ამის გამო თელავის მაზრის უფროსს უთხოვნია სათანადო მთავრობისათვის, რომ ტუსაღთა ერთი ნაწილი ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოში იქმნას გადაყვანილი.

⁂ ბათომის მახლობლად რუსთა ახალ-შენის დაარსება, როგორც „ჩერნ. ვესტ.“ იუწყება, საბოლოოდ გარდაუწყვეტიათ. ასი რუსის ოჯახის წარმომადგენელთ იჯარით აულიათ სამასიოდე დესეტინა ადგილი ბათომის ოლქის გონიოს ნაწილში (კიზილ თოფრახში).

⁂ როგორც „С. О.“ იუწყება, მიწად მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიაში დაარსებულ იქმნას რამდენიმე ახალი სამეტეოროლოგიო სადგური.

⁂ იურიევი, (დორპატი). წელს დორპატის უნივერსიტეტში დაამთავრა სწავლა ერთმა ქართველმა — ზურაბ გიორგის ძე აბდუშელიშვილმა საბუნების-მეტყველო ფაკულტეტზედ პირველის ხარისხით. ცნობილ პროფესორ გეოლოგოსმა ბ-ნმა ლევინსონ ლესინგმა მიიწვია აბდუშელიშვილი საქართველოში სამოგზაუროდ. ექსპედიციას აზრადა აქვს, გეოლოგიურად გამოიკვლიოს ყაზბეგის მთა და ზოგიერთი სხვა მწვერვალი კავკასიონის ქედისა.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობას ნება დაურთავს გაიმართოს ქ. ახალ-ციხეში სახალხო სეირნობა და ბაზრობა საქველ-მოქმედო აზრით ახალციხის პირველ-დაწყებით სასწავლებლის მოწაფეთა ნაწარმოების გასასყიდად.

⁂ როგორც ისმის, გამოცდა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსებზედ დანიშნულია კავკასიის სააბრეშუმო სადგურში 8—9 ივლისისათვის.

⁂ რედაქციამ მიიღო მე-VI ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისა“. შინაარსი ამ ნომრისა: ტყეში — ლექსი შ. მღვიმელისა; სკოლობანა — მოთხრობა ნ. ხუციშვილისა; ოჯახის პატარა მეტარველი — თარგმ. ს. ციციშვილის მიერ; მგელი საზერძნეთი — გოტესი; ზღვა და გუბე — ლექსი თან-ენ კანინისა; ბატებმა როგორ გადაარჩინეს ქ. რომი, თარგმანი; მზე და მთვარე — კანოსი; ორი მდიდარი, თარგმ. ტურგენიევიდგან; წვრილმანი: ხალხური ლექსი, ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, უჯრების ამოცანა, რებუსები და სხვანი.

⁂ ქუთაისიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ ბერძნის იანკო გრიგორიადის მკვლელობის გამო შეპყრობილ იქმნა სამი კაცი, რომელთაც ამ მკვლელობის ჩადენის ბრალი ედებათო.

## წერილი ახალ-სენაკიდგან

(სოფლის ნაწარმოების გამოფენა)

18 მაისს, ბ-ნი ი. ქუთათელაძე მოვიდა ახალ-სენაკში და აქაურს სამაზრო სამმართველოში, მაზრის უფროსის თანადასწრებით, მიიწვია აქაური ინტელიგენცია, რომელსაც სთხოვა, რომ საზოგადო სასწორი უნდა დაიდგას აბრეშუმის პარკის ასაწონად და მონაწილეობა მიიღეთო. დამსწრეებმა თანხმობა გამოუცხადეს ბ-ნ ქუთათელაძეს. საზოგადო სასწორის შემოღებამ ახალ-სენაკში ჩვენს ხალხს 2000 მანეთამდე შესძინა.

როგორც მოხსენებათ „ივერიის“ მკითხველებს, 20 ივნისს, ახალ-სენაკში გაიმართა სოფლის ნაწარმოების გამოფენა, ბ-ნ იოსებ ქუთათელაძის თაოსნობით. გამოფენამ თითქმის სამს დღეს გასტანა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს სამინისტრო და საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა და სოფლებმა. 20 ივნისს აქაური ნორმალური სკოლა, რომელშიაც გამოფენა იყო გამართული, მშვენიერს სანახაობას წარმოადგენდა. დილიდგან ხალხი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, — ყველა მიეშურებოდა გამოფენაზედ, სადაც მაგიდებზედ ეწყო წარმოგზავნილი სოფლის ნაწარმოები. ამ აუარებელ ხალხს ბ-ნი იოს. ქუთათელაძე ტკბილის და საამო სიტყვებით უხსნიდა, თუ როგორი მოვლა-მოშენება ესაჭიროებოდა აბრეშუმის ჭიას. ხალხი დიდ მადლობას სწირავდა ბ-ნ ქუთათელაძეს და სთხოვდა, რომ, რადგანაც იგი ესოდენ თავდადებულია ხალხის ეკონომიურად წარმატებისათვის, მომავალ წლისათვის აბრეშუმის სადი თესლი გაავრცელოს ხალხში. ბ-ნი ქუთათელაძემეც ამ თხოვნაზე ხალხს ჰპირდებოდა შეძლების კვალობაზე დახმარებას. საღამოს გამოფენის სურათი იქმნა გადაღებული. მეორე დღეს, ე. ი. 21 ივნისს, ბ-ნმა ქუთათელაძემ აბრეშუმის მაფის რიგიანი ამოხვევა აჩვენა მეაბრეშუმეებს. მესამე დღეს გარჩევა იყო საპატიო კაცთა თანადასწრებით ადგილობრივ ნაწარმოების საკა კარგისა. სხვა-და-სხვა კაცისაგან წარმოგზავნილი სულ იყო 92 ექსპონატი. ამათში უმეტესი ნაწილი აბრეშუმის პარკი იყო სხვა და-სხვა ფერისა, აგრეთვე აბრეშუმის დარაიები, აბრეშუმის მაფი ადგილობრივ ამოხვეული და სხ.

ტრიფონ კალანდარიშვილი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დ. ლანჩხუთი, (გურია) იმდენად, რამდენადაც თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენში მეაბრეშუმეობა, მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს სადი აბრეშუმის ჭიის თესლის გავრცელება ხალხში. კერძო პაჭრები ამ საქმეს ვერ ასრულებენ ხალხის სასარგებლოდ და, რაც თქმა უნდა, ვერც შემდეგში შეასრულებენ. ამიტომ ურიგოს არ იზამს გურიის ამხანაგობა როგორმე მოახერხებდეს და ადგილობრივ დაამზადებდეს საიმედო თესლს, რითაც დიდს სამსახურს გაუწევს მშრომელ ხალხს. ს. ჩობათის სკოლის ზედამხედველი ბ-ნი ს. ჟორდანიამ აგერ 7—8 წელიწადი იქნება, რაც თითონ ამზადებს თესლს და არა ერთგვარი მაგალითი, რომ მის მიერ მომზადებული თესლი ვისმეს გაჰფუჭებოდეს, თუ კი ცოტა შესაფერი მოვლა და ჰქონია. ბ-ნი ს. ჟორდანიამ სათესლე ჭიას თითონ ჰკვებავს რაც შეიძლება კარგად და შემდეგ თითო შემოწმებით სინჯავს მიკროსკოპის საშუალებით. ცოტა რამ სასყიდელი რომ გაიღოს ამხანაგობამ, ბ-ნი ჟორდანიამ საიმოვნებით მოუმზადებს რამდენსამე კაცს, რომლებსაც შემდეგ შეეძლებათ ამხანაგობაში გამოჰკვებონ სათესლე ჭია და გაარჩიონ ავი და კარგი ერთი-მეორისაგან.

პარკი წელს გაცილებით ნაკლებ ფასად იყიდებოდა წარსულ წლებთან შედარებით. მაგ., შარშან ფუთი პარკი ჰფასობდა 15 მან. წელს-კი 13 მანეთს არ ასცილდა, და ისიც ორ დღეს, 4 და 5 ივნისს; დანარჩენ დღეებში 11—12 მანეთად იყიდებოდა საუკეთესო პარკი. წელს საზოგადო სასწორი-კი დასდგეს ლანჩხუთში, ვითომ წონაში არავინ მოატყუოს ხალხი, მაგრამ ეს სასწორი ორის დღის შემდეგ ისევ პარკის მყიდველ ვაჭრების ხელში გადავიდა და როგორც უნდოდათ, ისე სწონავდნენ, თუმცა-კი იყო აქ რამდენიმე ისეთი კაცი, რომლებსაც შეეძლოთ ეგ სამსახური გაეწიათ ხალხისათვის და თითონ ეკისრათ სასწორის მეთვალყურეობა, მაგრამ ყველა საკუთარმა საქმემ უფრო მიიზიდა, ვიდრე ხალხის სამსახურმა.

ი. გოგიჩაიშვილი

## რუსეთი

— ამა წლის ივლისში სრულდება 15 წელიწადი მას შემდეგ, რაც კანონი იქმნა გამოცემული სამრევლო საეკლესიო სკოლების შესახებ.

— რუსეთის მეფუტკრეთა საზოგადოებას აზრადა აქვს გამართოს მეფუტკრეობის მოძრავი გამოფენა. ამ გამოფენას აზრად ის ექმნება, რომ გააცნოს სოფლის მცხოვრებთ ის საუკეთესო იარაღი მეფუტკრეობისა, რომელსაც დღეს მოწინავე ქვეყნებში მიღებულია.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სამრევლო

## ფელეტონი

### მეფე არჩილის საფლავი და იმისი მდგომარეობა.

21 ივნისს საქართველოს ეკლესია იგონებს ხსენებას წმ. მეფეების არჩილისა და ლუარსაბისას, რომელნიც სხვა და სხვა დროს (VII XVII საუკ.) სცხოვრობდნენ, მაგრამ, რადგანაც ორივეს ერთგვარი ღვაწლი მიუძღვით მამულისა და სარწმუნოების წინაშე, მე-18 საუკუნეში საქართველოს კათალიკოსმა ანტონ პირველმა დააწესა მათი დღესასწაული ერთ დღეს, ე. ი. 21 ივნისს *).

არჩილს, შვილს სტეფანოზ მეორისას, წილად ჰხვდა მეფობა (VII საუკ.) ისეთ დროს, როდესაც საქართველო მურვან-ყრუსაგან სრულიად განადგურებული და მიწასთან გასწორებული იყო. გამეფდა თუ არა იგი, მისი პირველი მიზანი იყო აღედგინა დაცემული საქართველო. თუმცა დიდი შრომა და მეცადინეობა იყო ამისთვის საჭირო, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა. თავის სურვილის მისაღწევად არჩილმა საქართველო გაჰყო რამდენსამე ოლქად (область); ოლქის უფროსნი ვალდებულ ჰყო, რომ რაც მტრისაგან იყო შერყეული და დაქცეული კვლავ აღეშენებინათ და განსაკუთრებით ეზრუნათ ხალხის ზნეობით გასასწორებლად. თითონ არჩილ მეფე თავის ფეხით მიდიოდა საქართველოს შორეულ ადგილებში და მამაშვილურად არიგებდა თავისს ხალხს, რომ ისინი ერთგულნი ყოფილიყვნენ მეფისა, მამულისა და სარწმუნოებისა.

მისის მეცადინეობით საქართველომ ფეხი მოიმაგრა, დაადგა აყვავების გზას, მაგრამ საქართველოს წარმატება არ ესიამოვნათ სპარსეთში, ეჭვის თვალით შეჰხედეს. „სწორედ 50 წლის შემდეგ მურვან ყრუს შემოსევისა, ჰიჯიმ ასიმი **) შემოვიდა საქართველოში უთვალავის ჯარით, რომელმაც სრულიად აოხრა იგი. იმის სიმხეცეს საზღვარი არა ჰქონდა: ქრისტიანები ათასობით იჟლიტებოდნენ, ეკლესიები და მონასტრები შეგინებულ იქმნენ და მრავალნი საძირკვლამდე დაქცეულნი. ჯავახეთი და ქართლი რომ გაღარცვლა და გაანადგურა სისხლის მსმელმა ჰიჯიმმა, მერე კახეთისაკენ მიიქცა. სუყველა თრთოდა იმის წინ: მკვიდრნი გაიხიზნენ მთებში, თავიანთი ქონება და ტაძარნი ღვთისანი, ეს საუკუნოებითი მშვენიერებანი კახეთისა, დაუტევეს გასაღვარცლად და მსხვერპლად სისხლის მსმელს“.

„სამშობლოს ესეთი უბედური მდგომარეობა აიძულებდა არჩილ მეფეს წამდგარიყო ჰიჯიმ ასიმის წინაშე და ეთხოვნა შებრალება სამეფოსი და ივერიის ეკლესიისა. მაგრამ ჰიჯიმი ულმობელი იყო. „შენი სამშობლო შენდობილი იქმნება და შენც იჯდები შენის წინაპრების ტახტზე, როდესაც შეიქმნები ჩემთან სჯულით ერთ მორწმუნე“, უთხრა ჰიჯიმ — ასიმმა. „უმჯობესია ჩემთვის სიკვდილი, ვიდრე ქრისტეს ვულალატო,“ უპასუხა არჩილ-მეფემ. გაბრაზებულმა ამ პასუხით ჰიჯიმ-ასიმმა შეიპყრო არჩილი, ჰგვემა, დასტანჯა იგი იმ იმედით, რომ შეერყია იმისი სიმტკიცე და მიეღებინებინა მოსლემინობა, მაგრამ ამით რომ ვერას გახდა, მოთმინებიდამ გამოსულმა სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა. არჩილ მეფე ქრისტიანულის თავდადებით მიეგება ამ გარდაწყვეტილებას. შეწუხებულმა წამებით მუხლ მოდრეკით მხურვალე ლოცვით შესთხოვა ღმერთს, რომ სარწმუნოება წმიდად შენახულიყოს საქართველოში, ღვთის-მშობლის მფარველობას მიანდო თავისი ოჯახი, თავისი ერი და თავისის ნებით 20 მარტსა 718 წ. (*) დაჰხარა თავი თავის მტარვალების ხმლის ქვეშ, 50 წ. შემდგომ თავისის მეფობისა“ „ნეშტი მეფე არჩილისა შესაფერის პატივითა დაკრძალულ იქმნა სოფ. ნოტკარში თავის მიერ აშენებულ ეკლესიაში.“ (*)

სოფელი ნოტკარი, დროთა ვითარების გამო შემდეგში გადაკეთებული ნოდოკრად ანუ ნადოკრად, მდებარეობს ერწოში, თიანეთის მაზრაში. არჩილის ეკლესია, სადაც დაკრძალულია არჩილ-მეფის წმ. ნეშტი, ერთის ვერსის მანძილით არის დაშორებული სოფ. ნადოკრაზე. ეკლესია მთელია, თაღიანი, მხოლოდ ყველგან სიბერის ხავსი აქვს მოკიდებული; აქა-იქ კედლებიდგან თლილი ქვები გადმოცვივნულა, ზევით სახურავზედ ტყე გაჩენილა და ალაგ ეტყობა, რითა ყოფილა დახურული ეკლესია, ლომფინითა, თუ სხვა რაძეთი. ეკლესია პატარაა, მხოლოდ ერთი კარები აქვს შესასვლელი. შიგ რომ შებრძანდებით, კარებიდგან მარ-

*) იხ. სადღესასწაულო 21 ივნისსა.

**) თ. დ. ჟორდანიას სიტყვით, დ. ბაქრაძეს წინააღმდეგ ქართულის წყაროებისა ერთ ადამიანად მიაჩნია ჰიჯიმ — ასიმი და მურვან ყრუ. იხ. მისი „ქრონიკები“, გვერდი 81.

*) ბროსეს გამოკვლევით, დავით და კოსტანტინეს წამება და მისი სიკვდილი უნდა მომხდარიყოს მოსლემის შემოსევის დროს, ე. ი. 715 წ.; თორმეტის წლის შემდეგ შემოვიდა ჰიჯიმ და აწამა მეფე არჩილ 727 წ.

თ. დ. ჟორდანიას საისტორიო კრებულის მოწმობით: „მეფე არჩილ მეორე შეწირულ იქმნა ასიმის მიერ წელსა 781.“

ჩვენის წარსულის ღრმად მცოდნე ბ-ნი თევდორე დავითის ძე ესე განმარტებს: „ზემოხსენებული 781 წ. შედგენილია ესრე: დავით და კონსტანტინეს წამება მურვან ყრუს მიერ მათის მეტაფრასით მომხდარა 730 წ., ხოლო ქართლის ცხოვრებით ჰიჯიმი ანუ აბულ კასიმი (სომხური წყაროებით ჰიჯიმ ისიმი) შემოვიდა საქართველოში ორმოცდა ათის წლისა შემდგომად მურვან ყრუისა, ე. ი. 730+50=780 წ., ერთი წელიც გავიდოდა არჩილ მეფის წამებამდინ“, იხ. ქრონიკები გვ. 81.

ასეთ თუ ისე ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ არჩილ მეფე წამებული იქმნა მე-VIII საუკუნეში.

*) იხ. О праздникахъ, установленныхъ прав. Грузинскою церковью, Димитрія Пурцеладзе გვ. 133—134.

ადგილებში დაარსებულ იქმნას შანა მრეწველობის განსაკუთრებული სკოლები.

— მიწად მოქმედების სამინისტრომ გარდასწყვიტა წელს განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინოს იმ საკოლო გამოფენებს, რომელიც გამართული იქმნება დაბალ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან.

— ყაზანის გზათა ოლქის უწყებამ გარდასწყვიტა დააზღვიოს სიკვდილის და დაშავებისაგან ყველა ისინი, ვინც ამ უწყებაში მსახურებენ. აზრადა აქვთ ამ უწყების მაგალითს ზოგიერთი კერძო გემების პატრონთ და ანაინო ამხანაგობათაც მიჰბაძონ.

— ამა წლის დეკემბერში უნდა მოხდეს სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა კრება. პროგრამა კრებისა უკვე შეუმუშავებიათ. კრებამ უნდა განიხილოს ის საგნები, რომლებიც ფარმაცევტთა სწავლა-განათლების პრაქტიკას და მდგომარეობას შეეხება.

— ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ მომავალის წლის გაზაფხულზედ რუსეთში ვეგეტარიანობის საერთაშორისო გამოფენა იქმნას გამართული.

— იმის შესახებაც არის აღძრული ლაპარაკი, რომ ამა წლის სექტემბერს ან ნოემბერს მოახდინონ ლიტერატორთა კრება რუსეთში ჟურნალ-გაზეთობის მდგომარეობის და საჭიროების გამოსარკვევად. კრებაზედ დასწრების ნება ექმნებათ: რუსეთის მწერალთა კავშირის წევრებს, სამეცნიერო და დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებს (თითოსაგან—ორ-ორი).

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** გაზ. „Tribuna“ს კორესპონდენტს საუბარი ჰქონია ზოლასთან. კორესპონდენტი, გაზეთის სიტყვით, არა მარტო უბრალო ნაცნობია დიდებულის რომანისტისა, არამედ მეგობარიც. ზოლას ის აზრი გამოუთქვამს, რომ დრეიფუსის გამართლება უეჭველად აშკარა გარეშე არისო. მისის სიტყვით, რენის სამხედრო სასამართლოს წევრების მხრივ სრული იმედი უნდა ჰქონდეს საზოგადოებას ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით კარიერი წარმოადგენს უეჭველ პატიოსანს კაცს. ეხლა დრეიფუსის გამტყუნება არა თუ შეუძლებელიაო,—უთქვამს ზოლას,—არამედ უშესაბამოც იქნებოდა ესო. მაშასადამე, დრეიფუსს ერთხმად გაამართლებენ სასამართლოს წევრებიო, თუმცა მისი მტრები უკანასკნელად იგრძენ უეჭველად ძალ-ღონეს გზა-კვალი აუბნიონ მოსამართლეებსო. ზოლას სიტყვით, თავის გამართლების შემდეგ დრეიფუსი კერძო ცხოვრებას მიეცემა. ის არ წავა ელზასში, სადაც მას თავისს ნათესავებთან ერთად მდიდარი ქარხნები აქვთ.

—

**ინგლისი.** იმ ხმებმა, რომ ინგლისის მთავრობა ტრანსვაალის წინააღმდეგ საბრძოლველად ჯარსა და ფლოტს ამზადებსო, დიდი მღელვარება აუტეხა ინგლისის საზოგადოებაში და საწინააღმდეგო მანიფესტაციებიც კი გამოიწვია. ამ დღეებში ტრაფალგარის სკვერში კრება გაიმართა, რომელსაც 3000 კაცამდე დაესწრო. კრებამ წინააღმდეგობა განაცხადა ტრანსვაალთან ბრძოლის შესახებ. დამსწრე საზოგადოების აღტაცებულ ხმაურობაში გადაწყვეტილ იქმნა დეპეშით გარდაეცეს ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს კრების რეზოლუცია, რათა დაუმტკიცონ მას, რომ ლონდონში კიდევ მოიპოვებიან რიგიანი კაცებიო.

—

**ბელგია.** რა კი ხმა გავრცელდა, რომ პარლამენტი დათხოვნილ უნდა იქმნას და ახალი არჩევნები მოხდებაო, გამოჩენილმა გენერალმა ბრიალმონმა ეს დრო საუკეთესოდ დაინახა პროკლამაცია გამოეცა იმის შესახებ, რომ ბელგიისათვის მაუცილებელ საჭიროებას შეადგენს საყოველთაოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურიო. ბრიალმონის სიტყვით, ინგლისის თავდებობას, რომ ბელგიას ხელი არავინ ახლოს და მისი ნეიტრალიტეტი სამუდამოდ იქმნას დაცულიო, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან, ვინიცობაა, საფრანგეთსა და გერმანიას რომ ერთმანეთთან ომი აუტყდეთ, სანამ ინგლისი ერთი ჯარისკაცის გამოგზავნას მოასწრებდეს, ბელგია სულ ერთიან აივსება ან გერმანიისა და ან საფრანგეთის ჯარებით. ამის გამო და კიდევ იმისა, რომ სამშვიდობო კონფერენციამ სრულებითაც ვერ მოსპო შიში მომავალში ომის ატეხის შესახებ, ბრიალმონის აზრით, ბელგიის მხედრობის რიცხვი 246,000 კაცამდე უნდა გაძლიერდეს. ეს რიცხვი ჯარისა სრულებით საკმარისია ბელგიის ხელ-უხლებლობის დასაცველადო,—ამბობს გენერალი,—და ამის ხარჯს ქვეყანაც გაუძლებსო.

—

**კრიტი.** ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობას აზრადა აქვთო, კრიტის კუნძულზე გადმოასახლონ საცხოვრებლად 40 ათასამდე სომეხი, რომელნიც ამ გაზაფხულზე გამოიქცნენ მცირე აზიიდგან არეულობის დროს და უკან აღარ დაბრუნებულან, რადგან, ოსმალეთის მთავრობამ ამისი ნება არ მისცა მათო. ეს ამბავი მაშინ არავის დაუჯერია, გაზეთების გამოგონილი ეგონათ, მაგრამ ეხლა დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ კრიტის კუნძულზე სომხების გადასახლების შესახებ პროექტს გარკვევ თავადით შეუდგესო ათინაში და კრიტის მთავრობასაც მოეწონაო ეს საქმე, რადგან მაჰმადიანების მიერ დატოვებული ადგილები ისევ ჩქარა დასახლდება ისეთი მშრომელი და მეურნეობის ხალხით, როგორიც სომხები არიან, და კრიტი ამით დიდს სარგებლობას ნახავსო. ამასთანავე ამტკიცებენ, რომ სომხებს წინადაც უცხოვრიათო კრიტზე, რასაც ზოგიერთი სოფლის სახელწოდება ამტკიცებსო, მაგალითად, არმენი, არმენიანა და სხ. როგორც ამბობენ, სომხებისათვის კრიტზე ცხოვრების ნება მიუცია იმპერატორს ნიკიფორე ფოკას, როცა ეს კუნძული სარაცინებს ჩამოართვა მე IX საუკუნეში. როგორც ეხლა, ისე მაშინაც კრიტი საშინლად უფოვლად გაპარტახებული, რადგან იქაური მცხოვრებნი ბევრი ამოწყვეტილა ბრძოლაში და ბევრიც გადასახლებულა სხვაგან. ამისათვის გადაუწყვეტია ვიზანტიის მთავრობას დაესახლებინა იქ რამდენიმე ათასი სომეხი, მაგრამ ეხლა მათი ხსენებაც არ არის, რადგან მათ სრულებით დაუკარგავთ უეჭველად თავიანთი ეროვნული ღვთისმეტყველება და იქაურს მცხოვრებლებს შეერთებიან.

———

# დამაკვირდი

ერთი რიგიანად გაკეთებული საქმე ორს ურიგოდ გაკეთებულს საქმეს სჯობია.

ბ. დ—ლი

***

ბრძენ არ მეთქმის, თუ ბრძენთ პატივს არა ვსცემდე.

ლასურიძე

***

მაღლმან მიიღის-რაჲ საზრდელი, დასცხრის გულის წყრომისაგან მისისა, ხოლო კახმისა მომღებელმან დაღაცა თუ მიიღის, უმეტესისა მიმართ სურის და არა სადა დასცხრების აღრევისაგან, არამედ უმეტესსა ემიებს.

ეფთვიმე მთაწმინდელი.

———

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები).

ამას წინად ამერიკაში, დაკოტას შტატის ქალაქ რაპიდ-სიგში დაუპატიმრებიათ ორი ბავშვი—14 წლის ქალი ლენა ბუტი და იმისი ძმა 10 წლის ნიკოლოზი. ბავშვებს მამის მოკვლა ჰბრალდებათ. მოკლული ფრანკ ბუტი ერთს რკინის გზაზედ იჯარადრად ყოფილა. გამოძიების დროს ქალს ლენას პირდაპირ უთქვამს, ჩვენ მოვკალით მამაო, ხოლო ვაჟს ნიკოლოზს ისიც დაუმატებია, რომ ყოველი საშუალება ვიხმარეთ, რათა მამა მოგვეკლაო. მამის სისასტიკემ და მტარვალობამ ჩაგვადენინა ასეთი საქმეო. მკვლელობა მაშინ მომხდარა, როდესაც დედა მეზობელთან ყოფილა. „უნდა გითხრათ,—უთქვამს ქალს ზედამხედველისათვის, როდესაც სატუსაღოში ჩაუსვამთ,—რომ მამა ჩვენი ძალიან სასტიკი და მტარვალი კაცი იყო. ულმერთოდ გვიქცეოდა არამც თუ ჩვენ ბავშვებს, არამედ დედა ჩვენსაც: მე და ნიკოლოზმა არა ერთხელ გადავწყვიტეთ მოკვლა. მკვლელობის დღესაც ამაზედ გვქონდა ლაპარაკი. სწორედ ამ დროს მამა ჩემი შემოვიდა. შემოსვლისთანავე მე უმიზეზოდ ფეხი წამკრა, ხოლო ჩემ ძმას მუჯლუგუნი უთავაზა. შემდეგ მეორე ოთახში შევიდა, მათრახი აიღო და სინჯვა დაუწყო. ვიფიქრეთ, ეგ არის ეხლა მათრახით გვიპირებს ცემასაო და ხელად გადავწყვიტეთ იმის მოკვლა. შინ ორი თოფი გვქონდა. ერთი გატენილი იყო იმ დროს, მეორე არა. ჩემმა ძმამ გაუტენავი აიღო და გატენა, მე კიდევ გატენილს დავავლე ხელი, ფანჯარასთან მივედი და იქიდგან მამა-ჩემს ვესროლე. თოფი რომ გავარდა მეც წავიქეცი; როდესაც ავდექი და ფანჯარაში შევიხედე, მამა-ჩემი უმოძრაოდ მიწაზედ ეგდო. შემდეგ მე და ჩემი ძმა სადილის მზადებას შეუდექით; ხოლო როდესაც დედა მოვიდა, ყოველივე დაწვრილებით ვუამბეთ“.

***

სანტ-იაგოში მყოფ გერმანიის ელჩს ამას წინად წერილი მიუღია, რომელშიაც ატყობინებდნენ, რომ დავეძებთ რიდარდ დავერკოსენს და მანდ ხომ არსად არისო. ამ წერილს სწერდა და დაკარგულისა. დავერკოსენს დაეძებდნენ იმიტომ, რომ მდიდარი მამა მოჰკვდომია და, როგორც მემკვიდრეს, თვისი ქონება უნდა მიეღო. ელჩს მართლაც დაუწყია ძებნა და უპოვნია კიდეც, მხოლოდ... სატუსაღოში. საცოდავი დევერკოსენი მამის სიძუნწის წყალობით ისეთ გაჭირვებაში ჩავარდნილა, რომ ეკკლესიის კარებზედ ჩამოკიდებული ყულაბი გაუტეხნია, ფული ამოუღია იქიდგან და ამის გულისთვის სატუსაღოში ჩაუსვამთ.

***

ერთი ამერიკული სასოფლო სამეურნეო გაზეთი იუწყება, რომ ერთს კაცს სამაგალითოდ გაწვრთნილი კატა ჰყავს, რომელმაც ამას წინად ქათმის კვერცხებიდგან წიწილები გამოჩიკაო. ამ უცნაურს კატას არამც თუ გამოუჩეკია წიწილები, არამედ საუცხოვოდ დაუზრდია კიდეც. ნამდვილი კრუხივით წიწილებით შემოხვეული კატა ეზოში დადიოდა თურმე და საჭმელს ეძებდა.

***

კანადაში მისურის შტატში უნახავთ ერთი გამოქვაბული. ამ გამოქვაბულის შიგნით დიდი ტბა ყოფილა. მთელი გამოქვაბული სავსეა თურმე ობობებით, ჭრიჭინებით და სხვა მწერებით. მაგრამ ყველა ეს მწერები უსინათლონი ყოფილან. საზოგადოდ გამოქვაბული ბევრით არის თურმე შესანიშნავი. იქვე უპოვნიათ ერთგვარი ძვირფასი ქვა—ონიქსი, რომელიც 100,000 მანათად დაუფასებიათ.

———

ახნივ კედლის ძირზედ არის საფლავი მეფე არჩილისა. საფლავი ძირიდგან ქვითკირით არის ამოყვანილი, ქვითკირითვე ზევიდამ გადალესილი და იატაკ ზევით ნახევარ ადლს აცილებული. ტრაპეზი კედელზეა მიკრული; საფლავსა და ტრაპეზს შუა ქვითკირის კედელია გავლებული. თალიდამ წვიმის წყალი ყველგან ჩამოდის, რის გამოც არჩილის საფლავი წვეთისაგან დაჩიჩქნილ-დაღარულია. არჩილის ეკკლესია გაუქმებულია და შიგ წირვა-ლოცვა აღარა სრულდება. აქვე ეკკლესიასთან აღმართულია სამ-სართულიანი კოშკი, მეორე უფრო მოზრდილი ეკკლესია ნახევრობამდის თალ-ჩამოქცეული და ერთი მშვენიერი მარანი, მრავალ ქვევრეხიანი, აზიურ გემოვნებაზედ აშენებული. მარანი თალ გადაყვანილი დღევანდლამდე შეურყეველი სდგა; მის ბანსა და კედლებზედ ამოცენებულა მაღალი ხეები. როდესაც ამას ჰხედავთ, გიკვირთ, ნეტა რა ძალა იჭერს მარნის თალსა, რომ ხეების სიმძიმე არ აქცევსო.

ჩვენდა, ქართველების სამარცხვინოდ იმ მეფის საფლავი, რომელმაც 50 წელიწადი იმეფა და შემდეგ თავი შესწირა სამშობლოსა და ქრისტეს სარწმუნოებას, დღევანდლამდის სრულიად მივიწყებული და მივარდნილია. ჩვენი გულცივობა, გულქვაობა და უმადურობა იქამდის მივიდა, რომ სადაც წმიდა ნეშტია დაკრძალული, პირუტყვების სადგომად იყო გადაქცეული. უნდა ვმადლობდეთ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს, რომელმაც ამ ხუთის წლის წინად ერთი ბერი (ეფრემი) გამოჰგზავნა მუდმივ აქ საცხოვრებლად, რომ არჩილის ეკკლესია და მისი მიდამო სუფთად, ფაქიზად შეენახა. ვიდრე ეფრემ ბერი ცოცხალი იყო, აქაურობა წმინდად იყო დაცული, მაგრამ, საუბედუროდ, ბერი ამ ერთის წლის წინად გარდაიცვალა და არჩილის ეკკლესია ისევ უპატრონოდ დარჩა.

21 ივნისს ორიოდე კაცის თაოსნობით შეიკრიბნენ არჩილის წმიდა ნეშტთან თიანეთის მაზრის მოწინავე კაცნი: მომრიგებელი მოსამართლე ა. ს. გამრეკელი, მაზრის მკურნალი ლ. ა. ჯავახიშვილი, ბლაღოჩინი მღვდელი ვ. გძელიშვილი, ბოქაულები გ. ი. დეკანოზიშვილი და ვ. გ. ბარათაშვილი, სამაზრო სამართველოს მოხელენი, ადგილობრივნი მღვდელნი, მემამულენი და მრავალნი სხვანი. სამღვდელოებისაგან არჩილის საფლავზედ გარდახდილ იქმნა პარაკლისი, შემდეგ პანაშვიდი ბერის საფლავზედ რომელიც აქ ილვწოდა. მღ. ნ. კახიშვილმა დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. მერე გაიმართა საუბარი, რა ღონისძიება უნდა იყოს ხმარებული არჩილის ეკკლესიის განახლებისათვისაო. არჩილის საფლავთან შეკრებულმა საზოგადოებამ ერთხმივ დაადგინა: 1, ვთხოვოთ მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს, რომ ნება დაგვრთოს არჩილის ეკკლესიის განახლებისათვის, და თუ განახლება არ შეიძლებოდეს, ახალის ეკკლესიის აშენებისათვის, შემოწირულობა მოვაგროვოთ საქართველოს ყველა კუთხეში, რადგანაც არჩილის წმ. საფლავი ეკუთვნის არა რომელსამე კერძო ადგილს, არამედ მთელს საქართველოს და საქართველოს შვილნი ზნეობითად მოვალენი არიან ყველამ თავიანთი წვლილი გამოიღოს.

2. ვიდრე ნება-რთვა იქნნას აღებული დამსწრე საზოგადოებას მოვალედ მიაჩნია თავისი თავი არჩილის ეკკლესიის განახლების შესახებ დაეკითხოს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს, როგორც პირველ მზრუნველს არჩილის წმ. საფლავისას. მათმა მეუფებამ პირველმა გამოიყვანა არჩილის წმ. ნეშტი დავიწყების ბურუსიდამ, განზრახვა ჰქონდა არჩილის ეკკლესია განეახლებინა და რადგანაც სხვა ეპარქიაში გადაბძანდა, მათი სურვილი შეუსრულებელი დარჩა. 1 და 2 მუხლის შესახებ დაევალა ბლაღ. მღ. ვ. გძელიშვილს თხოვნით მიჰმართოს მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს და ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს.

3. ჯერ ხანობით, ვიდრე შორიდგან შემოწირულობა მოგროვდებოდეს, ეხლავე არჩილის ეკკლესიის თავსახურზედ (ბანზე) ხეები გადაიკაფოს და კრამიტით დაიხუროს, რომ ეკკლესიის თალი წვიმისა და თოვლისაგან არ ჩამოიქცეს.

4. მომრიგებელმა მოსამართლემ ა. ს. გამრეკელმა სთქვა: ფრიად საჭიროა, რომ არჩილის ეკკლესიას თავის საკუთარი ეზო ჰქონდესო; რას ევვანება, ეკკლესია გავამშვენოთ და იქ მისვლა-კი არ შეგვეძლოსო?! აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ეზო არჩილის ეკკლესიისა და ვიღაც ჰაოსიანთ გვარისას დაუსაკუთრებია „ყორღანი“ (სამანი) შიგ ეკკლესიის კედლის ძირშია ჩავარჭნილი; მემამულემ რომ მოინდომოს, ფეხს არ მიგვადგმევინებს ეკკლესიასთან. პატივცემულმა მემამულემ ი. ს. ოზიაშვილმა საზოგადოებას აღთქმა დაუდვა: არჩილის ეკკლესიის ეზოს ისევ ეკკლესიას დავუსაკუთრებო, ამის სამაგიეროდ ადგილს ჰაოსიანთ გვარისას ერთი ორად მივცემო. საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ი. ს. ოზიაშვილს. შემდეგ გაიმართა ქართველური ნადიმი, შემკობილი მამულიშვილურის სიმღერებით და მრავალის სადღეგრძელოთი. საზოგადოება მხიარულად დაიშალა და წავიდ წამოვიდა. დიდის მადლობის ღირსია მღ. გრიგოლ წიკლაური, რომ ჩვენის მაზრის მოწინავე ხალხს ყველას ერთად მოუყარა თავი მეფე არჩილის წმ. ნეშტთან.

ვისურვებთ, ყველა ის, რაც სიტყვით წარმოითქვა, განხორციელებული იყოს და ჩვეულებრივ ქართველურ დავიწყებას არ მისცემიყოს.

მღ. ალ. გულისაშვილი.

———

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 ივლისი.

**სევასტოპოლი.** ორშაბათს შავი ზღვის ესკადრონი მიდის ნოვოროსიისკში, ხოლო იქიდგან ბათუმში, სადაც გემი „გიორგი პობედონოსეკი" მიიღებს ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გვამს.

**ოდესა.** რუსეთის საზოგადოების გემით „ალექსეი-"თ წავიდნენ ბათუმში მემკვიდრე-ცესარევიჩის კუბოს გვირგვინებით შესამკობად და თან წასახლებლად დიდ-კაცობა, დეპუტატები, მხლებლები და ცხენოსანი ჯარის კაცები.

**პეტერბურგი.** ფეიერვერკის შემდეგ ჯარის კაცებმა მიანგრ-მოანგრიეს ფეიერვერკის გამმართველის მასალები. საქმეში ჩაერია პოლიცია, მაგრამ მას ცემა დაუწყეს. 60 კაცი შეიპყრეს. მოწვეულ იქმნა ჯარი წესიერების აღსადგენად. ქალაქში, რომელიც ჯერ ისევ აღელვებულია, ქუჩებზედ ჯარი სდგას. რამდენიმე კაცი დაიჭრა.

**პარიჟი.** რენიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ მთავრობის კომისარმა წინადადება მისცა კენე-დე-ბორეპერს გამოცხადდეს მასთან დღეს დილით.

**პეტერბურგი.** მთელ ღამეს პოლიცია და ჯარი ფეხზედ იდგნენ და წესიერებას იცავდნენ. ახლად შეიპყრეს რამდენიმე კაცი. ჯარის-კაცები კარს შემოერტყნენ პოლიციის ბიუროს და მოითხოვეს ამხანაგების განთავისუფლება. ჩაამტვრიეს ფანჯრები. ერთი მცხოვრები ხიშტით დასჭრეს ყელში. ხმლებით დაედევნენ იმ კაცებს, რომლებიც ფარნებს ჰკრებდნენ გაჩირაღდნების შემდეგ, და საბრძოლველად იწვევდნენ ქვეითა ჯარს, რომელიც ამ დროს სრულიად მშვიდობიანად იყო.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში გალიფემ განაცხადა, რომ სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ რენში გადასწვიტა მიიწვიეს კენე-დე-ბორეპერი ჩვენების ჩამოსართმევად მხოლოდ როგორც იმ ფაქტის მოწმისაგან, რომელიც მან თვითონ შეატყობინა საკასაციო სასამართლოს.

საქმის განხილვა რენში დაიწყება 1—6 აგვისტოს.

**ვენა.** რუსეთის საელჩო ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად.

**ვენა.** Politische Correspondent-ს ბელგრადიდგან აუწყებენ, რომ ყველაზედ უფრო საყურადღებო დაპატიმრება თავადის ჩერნოგრელის ბიძაშვილის ბლაჟკო პეტროვიჩის დაპატიმრება იყო. 1894 წ., სერბიის მთავრობის წინადადებით, პეტროვიჩმა დასტოვა ბელგრადი და დასახლდა უნგრეთში. რადიკალთა მთავრობამ მას ნება დართო დაბრუნებულიყო ბელგრადში, სადაც მან ფულით შემწეობა მიიღო. გამოძიებისათვის საყურადღებო ის არის, გაგზავნილია თუ არა შეთქმულობის ძაფი ქვეყნამდე, სადაც პეტრე კარაგიორგიევიჩი ცხოვრობს. ამბობენ, შეთქმულობის განზრახვამდე კარა გიორგიევიჩი პანკოვჩს და ზემლინში ნახეს. ის ამბავი, ვითომ რუსეთის რწმუნებულს გამოეკითხოს ბელგრადში რადიკალთა დაპატიმრების ამბავი, ტყუილია.

**ბელგრადი.** ბლაჟკო პეტროვიჩი განათავისუფლეს, მაგრამ ბელგრადიდგან ზემლინში გაგზავნეს პოლიციის მხედველობის ქვეშ.

**კანეა.** საფრანგეთის და იტალიის ჯარის-კაცთა შორის მოხდა შეტაკება; ორსავე მხარეზედ ორ-ორი კაცი დაიჭრა, რომელთაგან ორი უკვე გარდაიცვალა. რამდენიმე სხვა შეტაკება მოხდა, მაგრამ არა თვალსაჩინო. წესიერება მაშინვე აღადგინეს.

**კონსტანტინეპოლი.** კათოლიკე სომეხთა პატრიარქის არჩევა დანიშნულია მომავალ კვირისათვის.

**ბუხარესტი.** 3 ივლისს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის სულის მოსახსენებლად.

---

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1899 წ. ივნისის თვის განმავლობაში:

1) საწევრო ფული.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დიასამიძისაგან 6 მ.

იოსებ პავლეს ძე მგალობლიშვილისაგან 6 მ.

იაკობ სვიმონის ძე ღულაძისაგან 6 მ.

პეტრე იოსების ძე ყიფიანისაგან 6 მ.

პროფ. ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილისაგან 6 მ.

გიორგი ალექსანდრეს ძე ჯაგახიშვილისაგან 6 მ.

იოსებ პავლეს ძე ბახტაძისაგან 6 მ.

ვლადიმერ ქაიხოსროს ძე ლორთქიფანიძისაგან 6 მან.

ივანე დავითის ძე ჯინჭარაშვილისაგან 6 მან.

ანნა ვლადიმერის ასულის ჯაყელისაგან 6 მან.

ხარლამპი პეტრეს ძე ღლონტისაგან 6 მან.

ივანე იოსების ძე ლეჟავასაგან 6 მ.

ისიდორე ანდრიას ძე ლეჟავასაგან 6 მ.

ანტონ სტეფანეს ძე გასილავასაგან (ნაწილი) 3 მან.

დავით ივანეს ძე ჯორჯიკიასაგან (ნაწილი) 3 მან.

ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანისაგან (ნაწილი) 3 მ.

სეით ლუარსაბის ძე იაშვილისაგან (ნაწილი) 3 მ.

დიმიტრი გიორგის ძე ნაკაშიძისაგან 6 მ.

ნიკოლოზ ანტონის ძე ადნიაშვილისაგან (ნაწილი) 3 მ.

კონსტანტინე ივანეს ძე გელაშვილისაგან 6 მ.

ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონიასაგან (სამუდამო საწევრო) 300 მ.

ეკატერინე თეოდორეს ასულის ასათიანისაგან 6 მ.

ნინო ბესარიონის ასულის ხერთვისიშვილისაგან 1898—1899 12 მ.

ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილისაგან 6. მ.

სულ 429 მან.

2, ყულაბებით შეგროვილი:

ეკატერინე სარაჯიშვილისაგან 4 მ. 24 კ.

3, შემოწირულობა ფულად:

„ივერიის" რედაქციით ივანე ზედგინიძისაგან შეგროვილი — 27 მან.

4, შემოწირულება ძველ ფულებად:

თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისაგან ორი სპილენძის ფული ერეკლე მეფისა.

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

---

## შემოწირულება

ამასთანავე მოგართმევთ 14 მ. 30 კ. შეგროვილს ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შორის მცხეთის ტაძრის განსაახლებელ თანხის მისამატებლად. შემომწირველნი არიან:

მიხეილ დიმიტრის ძე აბაშიძე ხუთი მანეთი; თითო მანეთი: პლატონ ლოსაბერიძემ, ნიკოლოოზ კურცხალიამ, პოლ. წერეთელმა, მაღლაკელიძემ, ერასტი გურგენიძემ და პეტრე კანდელაკმა; ათ-ათი შაური: სუმბათ ხერედინოვმა და №; ალექსანდრე თურქაძემ 30 კ., დათიკო ჭონიშვილმა, 2 მ. 22 კ. სულ 14 მან. 52 კ., აქედგან 22 კ. ფოსტის ხარჯი, დარჩა 14 მ. 30 კ. *)

დ. ჭანიშვილი

---

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადესს მადლობას ვუძღვნი ფოთის საზოგადოებას, რომელმაც კეთილ ინება და შემწეობა არ დაიშურა სიღარიბისა გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ავად მყოფ მთავრისთვის, რომელსაც არ ჰქონდა არავითარი საშუალება ექიმობის განსაგრძობად: კერძოდ მადლობას ვუძღვნი ქალბატონ პელაგია ხოშტარიასას და ბატონ ევგენი მიხეილის ძე გაბუნიას, რომლებმაც, ფულად შემწეობის გარდა, შრომა არ დაიზარეს და დამეხმარენ. მოგროვილი ფული სრულად ჩავაბარე თითონ მთავარს და ჩამოვართვი მიღების ბარათი. ჯამი მოგროვილი ფულისა არის ორმოცდა-რვა მანეთი და ჩვიდმეტი კაპეიკი. თუ ვინმე შემწეთაგანს ესურვება აქ მოხსენებულის სინამდვილის შეტყობა, შეუძლიან მოითხოვოს ჩემგან მთავარ დიაკვნის ხელით ნაწერი ფულის მიღების ბარათი.

პარასკევა სამსონის ასული ქავთარაძისა.

---

*) ეს ფული დანიშნულებისამებრ გარდავეცით.

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა თექვსმეტი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკან. (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 6 ვაკ. (8 და 9 წლის ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 56 ვაკანსიიდგან 55 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ერთი საზოგადოების სრულ ხარჯზედ.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულეთ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები. გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულნი იქმნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქმნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-მდის. ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской щколой на Лабораторной улицѣ въ д. Селикова.

10) აგვისტოს 26 და 27 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 28—31 მისაღები ეგზამენები.

1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქნებიან მიღებული აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ $18^{99}/_{900}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს, როგორც ფულის თავის დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევებშიაც.

---

**პეტერბურგის სამკურნალო გამგეობის** ნება-დართვით ისყიდება პროვიზორის შიხინოვისაგან გამოგონილი

ახალი მარგებელი სასმელი ყავა

ტფილისსა, გორსა, განჯასა, გუმბრსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ფოთსა და სხვა ქალაქების ყველა საუკეთესო მაღაზიებში. (10—6.—1)

---

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ფასი 50 კაპ.

---

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, სიცხისაგან დაწვას, ყვითელს ლაქებს, ფერის მჭამელასა და მეჭეჭებს, აგრეთვე სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილსუნნელოვანი და მაღალის ხარისხისას, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი 1895 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

პირველი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსონს მოსკოვში აქვს. დეპო ტფილისში ალმუროვთან, კავკასიაში საფთიაქო ნივთებით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ცურინოვთან, გრივენკოთან, ძმ. პოპოვებთან და არისტაკოვთან. (24—მ.—14)

---



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул. (24—5.—14)

Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Іюля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.